სახელმწიფო შესყიდვების
ხელშეკრულება №63-190620-01

ქ. თბილისი

19 ივნისი, 2020 წ.

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში, ომარ ოგბაიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სითი+“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კოვზირიძის სახით,

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2020 წლის 25 მაისს შემსყიდველის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოცხადებულ ტენდერში NAT200007792 გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სითი +“, ფასით 11 500,00 (თერთმეტი ათას ხუთასი) ლარი დღგ-ს გარეშე, ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის მიერ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადმინისტრაციულ შენობაში არსებული სასადილოს სარემონტო სამუშაოების (შემდგომში - სამუშაო) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV45400000).

1.2. შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი, მოცულობები და ფასი ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში (მოცულობათა ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა) და დანართ №2 (საგარანტიო პირობები და ვადები; სამუშაოს შესრულების ვადა), რომლებიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;

2.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები.

## 3. სამუშაოს შესრულების და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტი შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდება სამუშაოების სრულად შესრულების შემდგომ, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების აქტისა (ფორმა №2), და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტის საფუძველზე.

3.3. სამუშაო უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 (სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“);

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.4.1 სამუშაოები შეასრულოს დანართი №1-ის (მოცულობათა ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა) მიხედვით;

3.4.2. სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების მიხედვით და დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმა.

3.5. ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან სამუშაოების მთლიანი მოცულობით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელს ეკისრება საკუთარი პერსონალის დაშავებასთან/სიკვდილთან, ქონების დაკარგვასა თუ დაზიანებასთან (სამუშაოების, მოწყობილობის, მასალების, დანადგარების ჩათვლით), გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და ამ რისკებიდან წარმოშობილი ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულება.

3.6. ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან სამუშაოების მთლიანი მოცულობით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელი პასუხისმგებელია ასევე იმ პირების დაშავებასთან/სიკვდილთან და მათ ქონებასთან დაკავშირებულ რისკებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ მიმწოდებლის თანამშრომლებს, თუმცა დაშავება/სიკვდილი ან/და ქონების დაზიანება გამოწვეული იქნება მიმწოდებლის მიერ სამუშაოების წარმოების წესების დარღვევით.

3.7. მე-3 მუხლის 3.5 და 3.6 პუნქტებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ვალდებულებები ძალაში იქნება სამუშაოების საგარანტიო ვადის განმავლობაშიც (თუკი ადამიანების დაშავება, სიკვდილი, ნებისმიერი სუბიექტის საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება, გარემოს დაბინძურება და ა. შ. გამოწვეული იქნება სამუშაოების ხარვეზით/არაჯეროვნად შესრულებით).

3.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულების პროცესში, დააზიანებს შემსყიდველის ქონებას, იგი ვალდებული იქნება უზრუნველყოს შემსყიდველის ქონებისათვის პირვანდელი სახის აღდგენა საკუთარი ხარჯებით, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.
3.9 1. სამუშაოთა განხორციელებისას და მათი დასრულების შემდგომ მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოფს სამშენებლო ნარჩენებისა და ნაგვის გატანა, რომელიც წარმოიქმნა სამუშაობის განხორციელების პროცესში. მიმწოდებელი ვალდებულია დაემორჩილოს შემსყიდველის მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოთა მიმდინარეობის განმავლობაში მსგავსი დასუფთავების ღონისძიებების გატარებას.
3.10. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო/შეუსაბამო ან ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული სამუშაოს მიღებაზე.

**4. სამუშაოს ხარისხი**
4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.
4.2. მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან/და მოწყობილობა ან/და შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს/წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო.

**5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება**
5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მაქსიმალური სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 13569,88 (ცამეტი ათას ხუთას სამოცდაცხრა ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით; შემსყიდველი ანგარიშსწორებას მოახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების მიხედვით. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების 13569,88 (ცამეტი ათას ხუთას სამოცდაცხრა ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარზე გადაჭარბების შემთხვევაში, მიმწოდებელს არ წარმოეშობა შემსყიდველის მიმართ დამატებითი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, შესაბამისად აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს მხოლოდ ხელშეკრულების მაქსიმალური ჯამური სავარაუდო ღირებულებით.
5.2. ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტებია:
- მიღება-ჩაბარების აქტი (ორმხრივად ხელმოწერილი);
- შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა №2);
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამუშაოების სრულად შესრულების შემდგომ, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2), მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუადრეს 8 (რვა) და არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
5.4 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა, შემსყიდველის მხრიდან შენიშვნების არ არსებობის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელს წერილობით უნდა გაეგზავნოს შეტყობინება აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები შემსყიდველის მიერ ჩაითვლება მიღებულად.

**6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**
6.1. „მიმწოდებელი" შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან იძლევა 3 (სამი) წლიან გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს და გამოყენებულ მასალას არ ექნება დეფექტი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით განახორციელოს გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადებში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) კალენდარულ დღეს. ასევე იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული „სამუშაო" შეესაბამება ხელშეკრულების 1.2 და მე-4 მუხლებში მითითებულ კრიტერიუმებს.
6.1.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადაში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების მაქსიმალური სავარაუდო ჯამური ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა, შემსყიდველისაგან პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა უნდა გადაიხადოს.
6.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
6.3. არასათანადო „სამუშაოს" შესრულების შედეგად „შემსყიდველისთვის", ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს".

6.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
6.5. „სამუშაოს" შესრულების დაყოვნების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ვალდებულია გადაუხადოს "შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების მაქსიმალური სავარაუდო ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
6.6. „შემსყიდველის" მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
6.7. თუ ხელშეკრულება შეწყდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, ასევე, თუ მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ აღმოფხვრის საგარანტიო ვადაში გამოვლენილ დეფექტს, შემსყიდველს უფლება აქვს პირგასამტეხლოს სახით დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული მაქსიმალური თანხის ოდენობის პირგასამტეხლო.
6.8. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.
6.9. მიმწოდებლის მიერ ხელშერულების შეწყვეტის/სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებას შეწყვეტს/სამუშაოს შესრულებაზე უარს იტყვის ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გარემოებების საფუძველზე.
6.10. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

**7. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება**
7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
7.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

**8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**
8.1. შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ სამუშაოს კონტროლი.
8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
8.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
8.3.1. სამუშაოს მოცულობის, ხარისიხისა და ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;
8.3.2. შეამოწმოს შესრულებული სამუშაო მის მიღებამდე და უხარისხობის შემთხვევაში უარი თქვას მის მიღებაზე;
8.3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
8.4. ყოველი გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

**9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**
9.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
9.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

9.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

**10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

**11. ხელშეკრულების შეწყვეტა**

11.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

11.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა;

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ) სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

12. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

12.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

13.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| | |
|---|---|
| „შემსყიდველი“<br>სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“<br>ს/კ 206237491<br>მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21<br>ტელ/ფაქსი: 224-40-40 / 224-40-41<br>სს „თიბისი ბანკი“<br>ბ/კ: TBCBGE22<br>ა/ა GE71TB7895736030100001<br><br>დირექტორი ფინანსურ საკითხებში | „მიმწოდებელი“<br>შპს „სითი +“<br>ს/კ: 405120042<br>იურ/მის: ქ.თბილისი, ნ. ყიფშიძის ქ., N7გ, ბ. 48ა;<br>ფაქტ/მის: ქ. თბილისი, დგებუაძის ქ., N1;<br>ტელ: 551 02 93 79, 599 31 17 62;<br>სს ,,საქართველოს ბანკი“<br>ბ/კ: BAGAGE22<br>ა/ა GE21BG0000000579327500<br><br>დირექტორი<br><br>გ. კოვზირიძე |

GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC

Digitally signed by GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC
Date: 2020.06.19 13:22:09 +04'00'

Georgian Oil and Gas Corporation JSC
206237491

დანართი №1 _ მოცულობათა ცხრილი / ხარჯთაღრიცხვა

## სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადმინისტრაციულ შენობაში არსებული სასადილოს სარემონტო სამუშაობის სახელმწიფო შესყიდვა

| N | სამუშაოების დასახელება | განზ. ერთ. | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი, დღგ-ს გარეშე) | საერთო ღირებულება (ლარი, დღგ-ს გარეშე) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | იატაკის მორყეული კერამიკული ფილების დემონტაჟი და იგივე ფილების ხელახლა მონტაჟი წებოცემენტით და გრანიტის წებოთი, 15 ცალი ფილა 60სმ*60სმ | მ2 | 5,40 | 17,00 | 91,80 |
| 2 | არსებული შეღებილი კედლების ნაწილობრივ დამუშავება ფითხით, ბზარებზე სამღებრო ბადის მოწყობა, დაგრუნტვა და შეღებვა წყალემულსიური ნესტგამძლე საღებავით (2 შრე) | მ2 | 339,79 | 9,10 | 3092,09 |
| 3 | არსებული თაბაშირ-მუყაოს უკვე შეღებილი ჭერების დამუშავება ზუმფარით ზემოდან ჩამოსული წყლის ლაქების მოსაშორებლად, შეფითხვნა და შეღებვა თეთრი ნესტგამძლე წყალემულსიური საღებავით (2შრე) (იატაკებზე პოლიეთილენის ფირის დაფენით იატაკის დაცვის მიზნით) | მ2 | 277,19 | 10,40 | 2882,78 |
| 4 | არსებული მოძველებული დაზიანებული პლასტიკატის ჭერის დემონტაჟი და ახალი პლასტიკატის ფილებით ჭერის მოპირკეთება (მთლიანი კომპლექტით ლითონის კარკასზე, პლასტიკატის ფილის სიგანე 20სმ, ფანჯრებთან შუბლების მოწყობით) | მ2 | 42,64 | 21,00 | 895,44 |
| 5 | არსებული სანათების დემონტაჟი და led განათების სანათების მონტაჟი, (სიმძლავრე 9w, მუშაობის დიაპაზონი 90-265ვოლტი 50-60ჰერცი, სინათლის ნაკადი 720 lm, ფერის ტემპერატურა 4000k, გაშლის კუთხე 120*, cri(ra) >80, ჰერმრტულობა IP20 სანათის დიამეტრი 145÷150მმ, კარკასი თეთრი ფერის, შესაფუთ ყუთზე ოფსეტური ბეჭვდის წესით დატანებული უნდა იყოს საგარანტიო ვადა არანაკლებ 2 წელი) | ცალი | 60,00 | 50,00 | 3000,00 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | არსებული მეტალო-პლასტმასის ფანჯრების რეგულირება | ცალი | 10,00 | 10,00 | 100,00 |
| 7 | არსებული მეტალო-პლასტმასის ფანჯრებზე ანჯამების კომპლექტის შეცვლა და რეგულირება | ცალი | 10,00 | 54,90 | 549,00 |
| 8 | არსებული მეტალო-პლასტმასის ფანჯრებზე სახელურის შეცვლა და რეგულირება | ცალი | 10,00 | 40,00 | 400,00 |
| 9 | არსებული მეტალო-პლასტმასის ფანჯრებზე საკეტი მექანიზმის შეცვლა და რეგულირება | ცალი | 10,00 | 40,00 | 400,00 |
| 10 | ხის რაფების ზუმფარით დამუშავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით | მ2 | 14,80 | 6,00 | 88,80 |
| | | საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე | | | 11499,91 |
| | | საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით | | | 13569,88 |

**შენიშვნა:**
მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების მოცულობის განფასებისას გაითვალისწინოს ყველა იმ მასალა/მოწყობილობების შეძენის ღირებულება, რომელიც საჭიროა წინამდებარე სამუშაოების შესრულებისთვის.
იმ შემთვევაში თუ პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელია უნდა შეავსოს გრაფა _"საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით."

შ.პ.ს "სითი+"
დირექტორი: გიორგი კოვზირიძე

დანართი №2 - საგარანტიო პირობები და ვადები; სამუშაოს შესრულების ვადა

| სამუშაოს დასახელება | ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოებზე გავრცელდება | სამუშაოების განხორციელების ვადა |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადმინისტრაციულ შენობაში არსებული სასადილოს სარემონტო სამუშაობის სახელმწიფო შესყიდვა | 3 წლიანი გარანტია. | 15 კალენდარული დღე. |

*შენიშვნა:*
კომპანია შ.პ.ს "სითი+" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს და გამოყენებულ მასალას არ ექნება დეფექტი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, შ.პ.ს "სითი+" იღებს ვალდებულებას, საკუთარი ხარჯებით განახორციელოს გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადებში.

შ.პ.ს "სითი+"
დირექტორი: გ.კოვზირიძე